ნიანგი

საუკუნის ყველაზე ბნელი ნომერი
№1, 2000
ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა
136
2000

ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ
„ნიანგის“ წაკითხვა სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისათვის

აი ეს ბნელასი

KAKADU COMICS

ნიანგი

პოლიტიკური მუZაიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს გერბის პროექტი



ნახ. თ. დოლაქიშვილისა

ახლადარჩეული პარლამენტი და არ არჩეული მთავრობა დიდი ხალისით შეუდგა სახელმწიფოს ახალი სიმბოლიკის შემუშავებას

საагენტო "ზუესპრესი"

ბზე პარლამენტისაკენ

არჩევნების-არადანი

არჩევანი მე, არადანი შენ;
ხიზილალა მე, ჩეჩევიცა შენ;
მობილური მე, ფოსტალიონი შენ;
მერსედესი მე, ტროლეიბუსი შენ;
ანტალია მე, ბარისახო შენ;
კაზინოში მე, უკანალში შენ.

ნახ. ლ. ფურცხვანიძისა

საარჩევნო უზანი

ნახ. გ. აბაშიძისა

ნახ. გ. აბაშიძისა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. მ. მოისწრაფეშვილისა

- ეს არის ჩვენი ოჯახის მარჩენალი, დანარჩენები უმუშევრები ვართ!

ვაროდეკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

"...და ირგვლივ, როგორც უჯრაში ბნელა..."

ოთარ ჭილაძ

თუ ირგვლივ, როგორც უჯრაში, ბნელა,
ცხადია, გზასაც გავიგნებ ძნელად.
და შეუდგება გული სართულებს
გამოფხეკილი როგორც საფულე.
სერიალივით გაგრძელდა ღამე,
ამაოდ ვეძებ ვარსკვლავთა გამებს,
ფანჯრის წინ კატა კაცივით კვნესის,
მთვარე ჩამქრალა, როგორც თბილსრესი.
მომადგა დარდი ინსპექტორივით,
მომაწვა ცრემლი დათვის ტორივით,
რეფორმასავით მივღოღავ ნელა
და ირგვლივ, როგორც ჯიბეში, ბნელა.

ლ' ერი

გვეკითხებიან - ვპასუხობთ

კითხვა:
- პარლამენტართა გარდა, ვინ არიან ყველაზე პოპულარული ადამიანები საქართველოში?

პასუხი:
- ენერგომამების დედები.



ნახ. მ. ბაბაძისა

- სად გარბიხართ?
- 6 თვის ხელფასებს არიგებენ და ყველა თანამშრომელი ერთად მოვიდა.

- პენსიაზე გამოიარეთ XXI საუკუნეში.

ბორბენალი სტრიქონი copyright niangi

* * * ედმონდი ვარ მეტსახელად მეძახიან მე მონტეს, ხელმისაწვდომ ფასში ხელად შევასრულებ რემონტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთვარეულები

- კეთილი ინებეთ და გამატარეთ, მე ქალი ვარ!

- მამიკო დენი მოვიდა?
- ...
- დედიკო?

პაროდია

გულითადი მოწვევა

ჩემო ძვირფასო თედო! მივიღე შენი წერილი და დიდი მადლობელი ვარ, რომ ჩემთან სტუმრობა გადაგიწყვეტია როგორც იქნა. ჩამოდი, მოუთმენლად გელი, ხომ იცი, შენზე მეტად არავის ნახვა არ გამიხარდება! ერთი კია, სადგურიდან ცოტა მოშორებით ვცხოვრობ. სამწუხაროდ, ჩვენთან ავტობუსები არ დადიან, ფეხით, ტყეზე გავლით, მოგიწევს მოსვლა. ორლულიანი თოფი უნდა წამოიღო აუცილებლად, რადგან ტყეში მგლები მომრავლდნენ. ჩემს მეზობელ კონდრატეს გამოუდგნენ ამასწინათ. ცხენი შეუჭამეს, თვითონ კონდრატე კი ორი დღე და ღამე ნაძვზე იჯდა.
სადგურში დაგხვდებოდი, მაგრამ ხომ იცი, ჯანმრთელობა აღარ მომდევს... რადიკულიტი მოსვენებას არ მაძლევს, თანაც ხშირი შარდვა მაქვს და განუწყვეტლად ვაცხიკვებ...
მე და ზეინაბმა ცალკე ოთახი მოგიმზადეთ, კარგი ოთახია... შიგ დივანიც დგას, ოღონდ ერთი სამსახური უნდა გაგვიწიო - დუსტი წამოიღე თან. ჩვენი პროვიზორი ისეთი ლოთბაზარაა, რომ თავის სამსახურს არაფრად აგდებს, ასპირინის მეტი სხვა არაფერი შემოაქვს, დუსტის გარეშე კი ბაღლინჯოებისაგან მოსვენება აღარა გვაქვს. იცი, როგორ უსინდისოები არიან? აქ, ჩვენთან, ერთმა მეგობარმა ღამე თეთრად გაათენა, პირდაპირ ყურში ჩაუძვრა ეგ გათახსირებული. კიდევ კარგი, რომ ექიმი ჩემს გვერდით ცხოვრობს, თორემ უბედურება მოხდებოდა...
აბა, კარგად იყავი, წერილის წერას ვამთავრებ. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, ჩემი სიდედრი დიდი მოწიწებით გკითხულობს: მაგარი სკლეროზი აქვს, მაგრამ შენ რატომღაც კარგად ახსოვხარ. ბედნიერი იქნები გონიერ ადამიანთან შეხვედრისაო, - ამბობს. საკმაოდ მოხუცია და ნებისმიერ თემაზე უყვარს საუბარი. საცოდავი ჩემი გარდაცვლილი ძმა რომ მესტუმრებოდა ხოლმე, შუაღამემდე არსად უშვებდა. ვერ წარმოიდგენ, როგორი სასიხარულო იქნება მისთვის შენი ჩამოსვლა.
ჩემი პატარა ბიჭუნა, გრიშიკოც, მოუთმენლად ელის შენთან შეხვედრას. ოღონდ ძალიან ნუ გაათამამებ, თორემ ჯიბიდან გავარდნილია.
გოგია ხომ გახსოვს, შენთან რომ ერთად ვიყავით ჩამოსულები, ლოგინში ცოცხალი ზღარბი შეუგორა მძინარეს. საწყალ გოგიას მას მერე ენა ებმის. რას ეტყვი, ბავშვია, თავში ჩაქუჩიც რომ ჩაგცხოს, რას უზამ?
სხვა მხრივ იდეალური მდგომარეობაა! მოუთმენლად გელოდება მთელი ჩემი ოჯახი!

უკრაინულიდან გადმოაქართულა ლერი სიმონიშვილმა

გახალებს და საბუთს ვითხოვ სად და როდის ვინ გასცა, საქმეც მალე რომ დავიწყო ფული მინდა წინასწარ * *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭიანჭველ

სიზარმაცით განთქმულია ქართველი
და შრომისთვის მას არ ყოფნის შეგნება
ამიტომაც მომავალი ნათელი
საქართველოს არასოდეს ექნება



ქალბატონ ინგას კითხვა ყავაზე

თუ ამოგვიდა:

ჩალა	- ქვეყანას გადახურავ
კოჭი	- წადი, გააგორე!
ვირი	- გურჯაანში დაგპატიჟებენ "ზავოტობაზე"
ნაძვის ხე	- ახალ წელს უეჭველად შეხვდები
1.	- ეტყობა სმკ-ს მიეცით ხმა (ე.ი. გექნება 24-საათიანი ელექტროდენი და ბლომად ხელფასი)
ღორი მიხაკებით	- ღორის ქელეხში მოხვდები

* * * მაქვს სასწრაფოდ გასაყიდი ცხვრის დუმა და თხის ქონი, ფასიც არ იქნება დიდ

კოტესტროფული ამბები

დღეს საუკუნე მოდის ახალი
არ ღირს დაჰყარო კაცმა ფარ-ხმალი
ხელში საჭერად აზრის სადავის
იჭი არ კმარა კარგად ღადავის
საუკეთებლად აბა რეკლამის
როგორ გახდები გმირი ეკრანის
აღარ მუშაობს პო და ვერლენი
დისკო შოუებს მიაქვთ ბერლინი
არი მოგვჭამეს სქელმა წიგნებმა
ალე თეატრი აღარ იქნება
და რაც ჩაგვიდეს თავში მშობლებმა
დღეს ის გამხდარა ჩვენი პრბლემა
მეც ოჯახიდან გამოგდებული
დავრბივარ ენა გადმოგდებული
არცერთ პარტიას მე არ ვარგივარ
ლიტერატურის მძიმე ბარგი ვარ
ფაშიზმს რომ ვხედავ მოსულს ვენაში
ვებრძვი კომუნიზმს ქართულ ენაში

* * *

თქვენთვის ლექსის მოწოდება არის ჩემი მოწოდება
სხვა რათ მინდა მე წოდება სანამ კოტე მეწოდება

* * *

კალამზე რომ წევს ჩემი ცერი
მისი ბრალია რაც მიწერია
ხელში დამჭერი კალამის თუა
ის რა თქმა უნდა თითია შუა
მაგრამ კალამის გამჭენებელი
თითი ყოფილა საჩვენებლი.

თუკი მკითხველი მე ნებას დამრთავს
ახრის შევძინო რომ სვლას მჰნეობა
მოვყვები როგორ ატარებს ზამთარს
ქალაქ თბილისის მოსახლეობა
აქ უქონლობა რადგანაც შუქის
კარგა ხანია არავის უკვირს
შეგუებული აღმოვჩნდით ყველა
რომ ჩვენს ქალაქში ცივა და ბნელა
უბანიც მოვლილს არცერთი არ გავს
თუმცა კარებზე აუკრავთ რკინა
მდიდრები შინ რომ უბზინავთ ბინა
ქუჩაში ყრიან სახლის წინ ნაგავს
და გამომწვევი შემსვლელთა დარდის
სადარბაზოებს სუნი სდით შარდის.

* * *

არ მიკეთია აჩკები
ფულის არა მაქვს პაჩკები
არ მევასება სკაჩკები
გამწითლებია ზრაჩკები

უნდა ვატარო პარიკი
რომ არ გეგონოთ სტარიკი
მიტრიალდება შარიკი
ტარიკი რამტი ტარიკი.

უკეთესს ვერც იპოვნი და ჩვენს შორის იყოს ხიდი მორბენალი სტრიქონი * * *

ნახ. გ. აბაშიძის

– ჩვენ საბაჟო გადასახადს ასეთი ნიხრი აქვს.



უსიტყვოდ

ნახ. გ. მისწრაფიშვილის

შეცდომების გასწორება სტენოგრამაში

წერია	უნდა იყოს
მტვერსასუნთქი	მტვერსასრუტი
ზოგი ვირი გამგებელია	ზოგი ჭირი მარგებელია
გადმოდგა და მოფისა	გამოდგება ოფისად
სამრუშაოდ წავიდა	სამუშაოდ წავიდა
სექსკლუბ - "მზიური"	ექსკლუზიური
მარქსიზმ დე სადი	მარკიზ დე სადი
პრონჭაძე	ტრანკაძე
დამცხები ავტორი	დამწყები ავტორი

წერილი საქროფოს

ერთმა ახალგაზრდამ საყვარლისთვის საჩუქრის მიძღვნა განიზრახა. ელიტარულ მაღაზიაში თავის დასთან ერთად წავიდა და მცირე ყოყმანის შემდეგ არჩევანი ქალის ხელთათმანებზე შეაჩერა. მისმა დაიკომ კი, თავისთვის ტრუსიკი შეიძინა. ნავაჭრი მაღაზიის თანამშრომელმა გოგონებმა კოხტად შეუხვიეს, საფირმო პლასტიკატებში ჩაულაგეს და ისე გამოაცილეს კლიენტებს. ვაჟმა საჩუქარი მაშინვე თავის საყვარელს გაუგზავნა, თან წერილი დაურთო, მაგრამ მოხდა ისე, რომ ვაჟს პაკეტები აერია და თავის გულისწადებს ხელთათმანის ნაცვლად მისი დის შეძენილი ტრუსიკი გაუგზავნა. წერილში კი ეწერა: – "ძვირფასო, გიგზავნი პატარა საჩუქარს, შენს დაბადების დღეს არ დავუცადე, რადგან რასაც გჩუქნი, ვიცი არა გაქვს და ძალიან კი გჭირდება. მაღაზიის გამყიდველმა გოგონამ მირჩია თვითონ როგორსაც ატარებს. სამი კვირა გაუხდელად აცვია თურმე (ცხადია ღამ-ღამობით იძრობს), ხელით რომ გავსინჯე, ახლადჩაცმულს ჰგავდა: არც ფორმა შეუცვლია, არც ფერი, არც სურნელება. შენი ზომები ზუსტად არ ვიცი, (ჯერჯერობით!...) ამიტომ ერთი გოგონა შევარჩიე, დაახლოებით შენი აღნაგობისა, რომელმაც ჩემი თხოვნით შენთვის გამოსაგზავნი საჩუქრის რამდენიმე ნიმუში მოიზომა, მოირგო და ყველას მხრიდან დამათვალიერებინა. ტარებისას შენ იგრძნობ ჩემს სუნთქვას, რამეთუ, გამოგზავნამდე მრავალი მხურვალე კოცნით აღვბეჭდე იგი. ჰო, მართლა, მაღაზიაში დამარიგეს: უნდა გარეცხო თვეში ერთხელ, ოღონდ ზედ უნდა გაცვას და ზედვე უნდა შეგაშრეს, ელასტიურობა და ფორმა რომ არ დაკარგოს. ახლა მოდაში ყოფილა მათი ღილებჩახსნილი, ოდნავ ჩაჩაჩული ტარება, რაც პატრონის თავისუფალ სტილსა და დახვეწილ გემოვნებაზე მიუთითებს.

აბა, დროებით, ჩემო სიცოცხლევ! ერთი სული მაქვს, მალე გნახო და დაგიკოცნო რაც ჩემი საჩუქრის მიღმა იმალება."

წერილი იპოვა ალ. ალენიძემ
(ალეკო ნინუა)

* * * ორმოცდაათ ბაქსად ვყიდი ორგზის სუპერ-სენსაციას, გეტყვით, ერთ-ერთ ვიცე-სპიკერს შარვლის შიგნით რა აცვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყვალა დეიდას რჩევები

როგორ გავწმინდოთ იატაკი

[illegible] ორ კილოგრამ თაფლის სანთელს (ცვილს, ანუ ფიჭას), [illegible] 20 ლიტრა რვაპროცენტიან თხის რძეში/ (შეიძლება ნუშის [illegible] ამ უკანასკნელს ვერ ვიშოვნით, უკიდურეს შემთხვევაში, [illegible] გამოდგება. ამის შემდეგ ვშოულობთ ათ ლიტრა [illegible] ბენზინს, მოვასხურებთ იატაკზე და ზემოდან მოვასხამთ [illegible]. თუ ბენზინი არ აფეთქდა, მაშინ საჭიროა გავკრათ [illegible] პროცედურაც დამთავრებულად ჩაითვლება. ხასურველია, ამ [illegible] და ბავშვებიც ესწრებოდნენ.

როგორ ამოვიყვანოთ ლაქები

[illegible] ქეიფში ბრძანდებით და გაუფრთხილებელმა დიასახლისმა [illegible] თავზე ერთი მათლაფა საცივი ან ბაჟე გადაასხა და კოს-[illegible], ან კიდევ ჭირვეულმა თამადამ შავი ღვინით სავსე [illegible] ცხვირპირში, თქვენ და თქვენი მეუღლე დაუყოვნებლივ [illegible], მიდიხართ სახლში, მეუღლე იხდის ტანზე, თქვენ [illegible] კოსტუმს გაზეთში, მიდიხართ და აგდებთ [illegible] გადახვეულ კოსტუმს მტკვარში, მაღაზიაში 3000 დოლარად [illegible] ახალ კოსტუმს და ბრუნდებით სახლში.

[illegible] ეს ისე სწრაფად და უმტკივნეულოდ ხდება, თამამად შეგიძლიათ მიუსწროთ იმავე ქეიფს.

როგორ გავლახოთ ბავშვი

[illegible] რომ გავლახოთ, აუცილებელია იგი გვყავდეს, ერთი მაინც (მეზობლის ბავშვს ხელს ნუ ახლებთ, ყველამ თავისი [illegible]), მაგრამ რაკი ბავშვის უმიზეზოდ გალახვა პედაგოგიური თვალსაზრისით მიზანშეუწონელია, მიზეზი [illegible] უნდა შევქმნათ; ჩუმად ავიღოთ ჩურჩხელა ან თხილი და გამომწვევად დავდოთ დაბალ მაგიდაზე, მერე, [illegible] არაფერია, დავუძახოთ ბავშვს: შვილო, მე ბაზარში წავალ და აბა შენ იცი, რა ჭკუით იქნები! სინამდვილეში [illegible] (უმჯობესია მეხუთე) ოთახში. როცა ბავშვი სახლიდან წასულს დაგვიგულებს, უეჭველად მივარდება [illegible] აიღებს თხილს ან ჩურჩხელას და დაუწყებს ჭამას. ამ დროს ფეხაკრეფით გამოვიდეთ, მივეპაროთ ბავშვს და [illegible] მერე ავიღოთ თხილის წკეპლა ან ხელი და გავლახოთ ბავშვი შეხედულებისამებრ. თუ ტირილი მორთო, [illegible] შემდეგი სიტყვებით: „გაჩუმდი, შე წუწკი, თორემ მოვა მამაშენი და უარესს გიზამს!“

„ნოანგის“ კამასუტრა

პოზები

ინგლისური - ქალი ზემოდანაა, კაცი ჩიბუხს ეწევა.

გერმანული - მარჯვენა ხელით ერთმანეთს ეალერსებიან, მარცხენა ხელზე საათს დაჰყურებენ.

ამერიკული - ქალი ემანსიპირებულია, კაცი ადამიანის უფლებებს იცავს და "HAPPY END"-ით ათავებენ.

რუსული - კაცი ზის, არაყს სვამს, ქალი წევს სხვა ბინაში, სხვასთან.

ქართული - მამაკაცი გულაღმა წევს, ქალი სამზარეულოში ფუსფუსებს.

იმედგაცრუება

- როცა პარტნიორი ჩაცმული გაცილებით უკეთესი იყო.
- როცა პარტნიორ ქალს მოსახსნელი მკერდი აქვს პარტნიორ კაცს კი მოსახსნელი ....
- როცა პარტნიორი საპირისპირო სქესის არ აღმოჩნდა.

რუსულ-ქართული ლექსიკონი

სამფეხი - თვითონ ფეხი
სამაია - თვითონ მე (ქალზეა ლაპარაკი)
კალენდარი - მუხლი მაჩუქე
პარაგრაფი - წყვილი გრაფი
პარაფინი - წყვილი ფინელი
ბუსოლი - დამარილებული ბუ
კულისი - მელოტი კუ
პოლიტიკა - ტიკი იატაკზე
კონფედერაცია - ცხენების ფედერაცია

ნუგზარ აფხაზავა

პირველ წყარო: „ბუესპრესი“, „შალვა-პრეს“ და „რამე-ნიუს“ - მნახავთ, თუკი მოაკითხავთ ჭავჭავაძის ავენიუს. * * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგელები გვიამბობენ



—„ჩემი ნახატების გმირი უმეტეს შემთხვევაში კახურქურდიანი გლეხკაცია. დარბაისელი, გამჭრიახი და ენამოსწრებული. იგი ებრძვის ჩვენი ცხოვრების მახინჯ მოვლენებს, დასცინის მუქთახორებს, ზარმაცებს. სოფლის თემა ბევრი თბილისელი მხატვარ იუმორისტის ღვიძლი თემაა. რადგან ხალხური იუმორის საბადოები სოფელშია და ვისაც სურს მკითხველის თვალი და გული გაახაროს, განძი ამ საბადოებში უნდა მოიპოვოს.“ — ეს სიტყვები ეკუთვნის მხატვარს, რომელმაც თავისი სიცოცხლის ნახევარი საუკუნე დაძაბულ და ნაყოფიერ შემოქმედებით ცხოვრებას მიუძღვნა.

გ. გაბაშვილის, ი. შარლემანის, ე. ლანსერეს წარჩინებულ სტუდენტს, შემდეგ კი ცნობილ მხატვარს იოსებ ქოქიაშვილს, პოპულარობა კარიკატურის დარგში მუშაობამ მოუტანა. 30-იანი წლებიდან მოყოლებული ვიდრე გარდაცვალებამდე მისი ნახატი კარიკატურები ჯერ ჟურნალ „ტარტაროზის“, ხოლო შემდეგ „ნიანგის“ მშვენებას წარმოადგენდა. ბუნებით კეთილ კაცს ძალიან უყვარდა ადამიანები, ამიტომ გულთბილი იუმორის მსუბუქი შტრიხებით ეხებოდა თანამემამულეთა ნაკლოვან მხარეებს. მის გრაფიკულ ჩანახატებში მაშინ მკაცრდებოდა კომიზმის ეფექტი, როცა საქმე ხალხის მტრებს, სხვადასხვა ჯურის ანტიპოდებს და ომის გამჩაღებლებს ეხებოდა. მოსკოვის საერთაშორისო გამოფენაზე — „სატირა მშვიდობის სამსახურში“ — ბატონი იოსების ნამუშევრებმა ოქროს მედალი დაიმსახურეს. გამოჩენილ მხატვარ-კარიკატურისტს, ქართული წიგნის გაფორმებისა და ილუსტრირების ჭეშმარიტ ოსტატს, იოსებ ქოქიაშვილს, გასულ წელს 95 წელი შეუსრულდებოდა. შემოქმედებას, რომელთანაც დრო უძლურია, გადაფასება არ უწერია. სწორედ ასეთი საინტერესო და დღესაც აქტუალურია იოსებ ქოქიაშვილის შემოქმედება „ნიანგის“ და საერთოდ, ქართველი მკითხველისათვის.

- კიდევ კარგი, რთველში მაინც ჩამოდიხართ, თორემ სულ დავკარგავდით ნათესავები ერთმანეთს!..

გვერდი მოამზადა ნანა ჯაჯანაშვილმა



უსიტყვოდ



უსიტყვოდ

უსიტყვოდ

გახურებული პურის აღება ზოგიერთ კოლმეურნეობაში.

the Best of 2000 - 33 = 1967

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. ჯ. ლოლუასი

- რაღა ასფალტზე აბამ ამ გაძვალტყავებულ ძროხას, აქ რა უნდა იბალახოს!?
- რა ვიცი, ექვსი თვის წინ შენც ასე გაძვალტყავებული მოხვედი ამ ადგილზე, მაგრამ ახლა ბუღასავით ხარ!

ნახ. გ. ფირცხალავასი

უსიტყვოდ

ნახ. გ. ფირცხალავასი

- მობრძანდით!

ნახ. ზ. ფირჩხაძისა

- ამ ახალ წელს სად მოკალი ამხელა დათვი?
- ჩუმად! არ გაალვიძო, თორემ დაგვჭამს ორივეს!

ნახ. ზ. ფირჩხაძისა

- ამხელა ტორშერით ავტობუსში ვერ შემოგიშვებთ!

ნახ. ჯ. ლოლუასი

- ვინ არის ეს კაცი, შე გათახსირებულო?!

დაუსწრებელი ინტერვიუ „ჯეიასთან“ ანუ მწერალ რეზო ჯეიშვილთან

„ნიანგი“ - რეზო, რა არის სიცილი?

რ.ჯ. - ავადმყოფობა.

„ნიანგი“ - ბატონო?!

რ.ჯ. - „სიცილით გადაფიჩინდაო“, „სიცილით მოკვდაო“ - ხომ გაგიგონია?

„ნიანგი“ - ეგ ხომ ხატოვანი . . .

რ.ჯ. - მართლა კვდებიან. მაგ ავადმყოფობას კურუ ჰქვია. ეპიდემიასავითაა: ახალი გვინეის ერთ ტომში იფეთქებს დრო და დრო და მოგჭამა ჭირი სიცილით დახოცილების დამარხვას ვერ აუდიან.

„ნიანგი“ - „სასაცილოდან სატირლამდე ერთი ნაბიჯიაო“ - მართალია?

რ.ჯ. - ნაბიჯიც კი არაა: ჩვენ, მაგალითად, სასაცილოდაც გვაქვს საქმე და სატირლადაც.

„ნიანგი“ - სიცილით დახოცილების დატირებაზე რას იტყვი?

რ.ჯ. - მხოლოდ ნიანგის ცრემლებით, ვინაიდან სიცილით სიკვდილი, ჯერ-ჯერობით არ გვიწერია.

„ნიანგი“ - მხოლოდ მას ეცინება, ვისაც იუმორის გრძნობა აქვს?

რ.ჯ. - თუ არ შეუღიტინე, კი, ასეა.

„ნიანგი“ - ზოგი სხვისი ხათრით იცინის და გული წყდება, რომ ვერ ხვდება, რაზეა სიცილ-ხითხითი.

რ.ჯ. - იუმორის გრძნობა თანდაყოლილი თვისებაა, გარკვეული ნიჭია, თუმცა-ღა მისი შეძენა-განვითარებაც შეიძლება.

„ნიანგი“ - თუ არსებობს იუმორისთვის, სიცილისთვის ტაბუდადებული თემები? საქართველოში ბევრს მიაჩნია, რომ რელიგიურ და პატრიოტულ თემაზე ხუმრობა მკრეხელობაა.

რ.ჯ. - აბსოლუტურად შემცდარი შეხედულებაა. მარტო ბოკაჩოს „დეკამერონი“ და ვიიონის „ანდერძის“ მოხმობა კმარა არგუმენტად. ისე, ცხადია ხუმრობა ლაზღანდარობაში არ უნდა გადაიზარდოს. ხუმრობა, ცხადია, ყველაფერზე შეიძლება. სიკვდილზე არ ხუმრობენ, თუ რა? ერთ შავბნელ ზამთარს, ამ ახლო წარსულში, ქუთაისშიც კომენდატის საათი გამოაცხადეს. ბიჭიკიას მისცეს ავტომატი და უთხრეს: ცხრა საათი შესრულდება თუ არა, ვისაც გინდა ესროლე, ოღონდ სახლში ნურავის შეუვარდებიო. კაიო, გაუხარდა და ცხრას რომ დააკლდა თხუთმეტი წუთი, ერთ-ერთ გამვლელს კრა ტყვია და გააგორა. რა ჰქენიო, მიცვივდნენ, ცხრა არაა ჯერ, რატომ ესროლეო. ვიცნობ, ჭომაში ცხოვრობს და ცხრა საათამდე მაინც ვერ მივიდოდა სახლამდეო.

„ნიანგი“ - ქართულ იუმორს აქვს თუ არა რაიმე განმასხვავებელი, ნიშანდობლივი თვისება?

რ.ჯ. - ცხადია, ექნება, მაგას საგანგებო დაფიქრება სჭირდება. ისე, ჩვენი იუმორი საუკუნეების სიღრმიდან მოდის. შედარებით ახლო წარსულში უნდა დავასახელოთ სულხან-საბა, დავით გურამიშვილი. ახალი იუმორი კი ისევ ილიათი და აკაკით უნდა დავიწყოთ. მერე - ვაჟა-ფშაველა, დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე . . .

„ნიანგი“ - რომელია უფრო მნიშვნელოვანი: ლიტერატურული, თუ ყოფითი, მოარული?

რ.ჯ. - უფრო მნიშვნელოვანი და ქვეტექსტებით დამუხტული, ალბათ, ლიტერატურისა და ხელოვნების იუმორია, უფრო სასაცილო -სახარხარო კი - ყოფითი. ანეკდოტი, ამ მხრივ, კონკურენციის გარეშეა. ქუთაისში, სამოქალაქო თავდაცვის შტაბში, ერთი უბნის მოსახლეობა მოიწვიეს და ატომური ომის მოსალოდნელი ეპიზოდები დაუსურათხატეს. დასასრულს გასუსულ-დაზაფრული აუდიტორიისათვის თავმჯდომარე წიქორიძეს მიუმართავს:

- აი, თქვენ, მაგალითად, მოშიაშვილო შალომ, როგორ მოიქცევით, ატომური ბომბი თუ ჩამოვარდება თქვენს ეზოში?

- ისე მოიქცა შენი ცოლ-შვილი, მე რომ მაშინ მოვიქცევი!

ერთხელ ბიძინა ღოღობერიძემ განუცხადა ახლობლებს:

- ყველს აღარ ვიყიდი აწიო!

რატომაო და რამდენი შევიტანე სახლში, იმდენი შეჭამესო.

ავტოქარხნის დასახლებაში (ქუთაისში) ზღვიდან თბილისში მიმავალმა დასვენებულმა, ნაპატიებმა თბილისელმა მოქალაქემ ღორი გაიტანა - ბურვაკი. გააჩერა „ვოლგა“, გადმოვიდა, მოფართხალე ბურვაკს დახედა: მაინც აღარაფერი ეშველება ამ საქმესო და გასისხლიანებულ, მოხროტინე ღორს რომ ტენიდა საბარგულში, პატრონი წაადგა თავზე:

- არ მითხრა ახლა: საავადმყოფოში მიმყავსო!

სერგია ერისთავი შეხვდა ჯაჭვის ხიდზე კალისტრატე ჩიკვაიძეს და შორიდანვე მიაძახა:

- კალისტრატე, გვიცნეს, კალისტრატე გვიცნეს!

- რა იყო სერგია, ვინ გიცნო?! - შეჩერდა შუა ხიდზე კალისტრატე.

- გვიცნეს, კალისტრატე, ერთა ლიგამ გვიცნო, საქართველო იცნეს, ევროპამ გვიცნო!

- გადაიხედე!

ადიდებულ რიონს დასცქერიან თეთრი ხიდიდან.

- ჩემო სერგია, ეგ ამბავი რას გავს თუ იცი?

- რას? - აღტაცება უნელდება სერგიას.

- შენ რომ ამ რიონს მოჰქონდე და მე რომ აქედან, ამ ხიდიდან დაგიძახო:

- გიცანი სერგია, სერგია გიცანი!

პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ რომ წაიკითხეს თეატრში, ერთმა ცნობილმა მსახიობმა დაიჟინა, არ მეცინებაო. არ მეცინება, კოტეჯან და რა ვქნა, არ მეცინება, აი! არ გეცინება და ამ ჩემს საშას და კოლაბო, მარჯანიშვილმა უპასუხა თურმე!

„ნიანგი“ - გამოდის, რომ ყველას არა აქვს აღქმის ნიჭი.

რ.ჯ. - „მესამე ლექსი კარგია სანადიმოდ, სამღერელად, საარშიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად. . .“ ამ „მესამე ლექსის“ წერისა და აღქმის ნიჭი ყველას არა აქვს!

„ნიანგი“ - ჩვენი საქმე როგორაა ამ მხრივ?

რ.ჯ. - ძირითადად, დამაკმაყოფილებლად. „ნიანგი“ რომ გამოდის და შენ რომ მესაუბრები ამ თემაზე, უკვე რაღაცას ნიშნავს. სიცილის ნიჭი არასოდეს ჩაქრება საქართველოში.

„ნიანგი“ - მადლობის მეტი რა მეთქმის!

ინტერვიუ ჩაიწერა ლერი ჩანტლაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სვანეთის სკოლაში

მასწავლებელი: სავნის ალმნიშვნელ სიტყვას არსებითი სახელი ენოდება. ვის შეუძლია, დაგვისახელოს არსებითი სახელი?

მექნუ: ჯიხვი.

მასწავლებელი: სწორია! მეორე არსებითი სახელი?

მექნუ: მეორე ჯიხვი.

***

მასწავლებელი: რას გვაძლევს ცხვარი?

მექნუ: მატყლს.

მასწავლებელი: რას კაკეთებთ მატყლით?

მექნუ: არ ვიცი.

მასწავლებელი: რისგანაა გაკეთებული შენი პალტო?

მექნუ: მამაჩემის ძველი პალტოსგან.

***

მასწავლებელი: ვის შეუძლია გვაჩვენოს რუკაზე ამერიკა?

– მექნუ მიდის რუკასთან და აჩვენებს ამერიკას.

მასწავლებელი: აბა, მითხარით, ვინ ალმოაჩინა ამერიკა?

მავშვები: მექნუმ.

ინტელიგენტური დიალოგი

ავტობუსი მესტიიდან მოჰქრის...

დღის თორმეტი საათია...

- ბატონო სოზარ, გამარჯობათ, ეს მე ვარ გეთაყვათ!

- ოო! ბექნუს გაუმარჯოს! როგორ ბრძანდებით?

- გმადლობთ, არა მიშავს, ვმუშაობ, ვმუყაითობ, ბატონო სოზარ!

- მდაა! ის უნდა მეთქვა, რომა, მალე დაიცავთ, არაა? გეთაყვათ!

- დიახთ, მალე.

- მდაა, ყმაწვილო, გეთაყვათ, რამეთუ გამეხარდა რომა, მუყაითობთ!...

(პაუზა)

ბატონი სოზარი: მდაა!..

ბექნუ: როგორც რუსნი უბნობენ, დიახთ!

(პაუზა)

ბექნუ: ბატონო სოზარ,! მესტიიდან ყოველდღე ჩამოსდიხართ დმანისში?

ბატონი სოზარი: კი, გეთაყვათ, ყოველდღე ჩამოვსდივარ და ყოველ მეორე დღეს ავსდივარ!

ბექნუ: ყოველ დღე ასვლა, ალბათ, ძნელია, არა?

ბატონი სოზარი: რა თქმა უნდა, მისთვის რომა... ჯერ ჩამოსვლა სთქვით და მერე ასვლა, ეჰ!...

ბექნუ: ასეც ჯობია, ყოველდღე ჩამოხვალთ, დახედავთ სახლს და ყოველ მეორე დღეს ახვალთ.

ბატონი სოზარი: რა თქმა უნდა... გეთაყვათ!

(პაუზა)

ბექნუ: ბატონო სოზარ, ნეტა რამდენია მესტია ზღვის დონიდან?

ბატონი სოზარი: თბილისის ზღვის დონიდან გეთაყვა, თუ...

ბექნუ: არა, ბატონო სოზარ, რატომ? თუნდაც რომელიმე ზღვის ან ტბის დონიდან.

ბატონი სოზარი: გეთაყვათ, ის ვიცი, რომ ენგურის დონიდან ახლოსაა, სხვა რა მოგახსენოთ.

ბექნუ: ნეტა, დონი რამდენი იქნება დონიდან?

ბატონი სოზარი: მდაა...

ბექნუ: ნეტა რომელი საათია?

მე: ხუთი წუთი გადასულია...

ბექნუ; გმადლობთ!..

მე: არაფერს!

ჯაკუნია ნაჯაკუნარი

გაფუჭებული ტელეფონი

- წითელკუდა
- ყველმოქმედება
- ოთხი ძია
- როგორ ითრობოდა ფოლადი
- ილიჩის ნატურა
- პატარა კვახი
- ვოროშილოვგრადის ვარია
- ფიფქია და შვიდი გუჯა
- გლეხის ნაამბობი
- კაპიტანი თემო
- ბაკულას ქორები
- საქრთამთველო

სოფისტი
- სოფოს თაყვანისმცემელი

ექსპორტი
- ყოფილი პორტი

ცერბერი
- ბერის ცერი

დემონსტრაცია
- დემონს კუჭი აშლია

დეპოლარიზაცია
- ლარით პრივატიზებული დეპო

განმარტებითი ლექსიკონი

Niangi's Microsoft Explorer

„ნიანგის" - პატარა და რბილი ალმომჩენი

- მიხო, რა გინდა გამოხვიდე?
- სექსოპათოლოგი.
- შენ იცი მაინც რას აკეთებს სექსოპათოლოგი?
- ვიცი. აი, მაგალითად, გამოცანა: სამი ქალი ჭამს ნაყინს. პირველი კბიჩავს, მეორე ლოკავს, მესამე წუწნის. რომელი მათგანია გათხოვილი?
- ალბათ, მესამე...
- არაფერიც! გათხოვილი ისაა, რომელსაც ხელზე ბეჭედი უკეთია, შენნაირებს კი სექსოპათოლოგი მიხედავს.

სოფლის საავადმყოფოში:
- ექთანო ნარკოზი!..
- რომელი?
- ადგილობრივი!
- იავ ნანა, ვარდო ნანა ...

- ამ ცხოვრების დედა ვატირე, რა! მესამე სართულზე ვცხოვრობ და წყალი არ ამოდის!
- ერიდება ალბათ!..

- მამიკო, რატომ აქვთ გორილებს ასეთი დიდი ცხვირის ნესტოები?
- იმიტომ, რომ მათ სქელი თითები აქვთ!..

ფსიქიატრს აღელვებული ქალბატონი ურეკავს:
- ექიმო, ჩემმა ქმარმა აიკვიატა, ცხენი ვარო, ჩალას ჭამს და ფრუტუნებს!
- მოიყვანეთ, უნდა გავესაუბრო.
- ეხლავე შევკაზმავ და მოვალთ!..

ინტერნეტში აღმოაჩინა „ნიანგმა"

საუკეთესო პლაკატი

საუკეთესო რეკლამა

ვაცხადებთ კონკურსს საუკეთესო პლაკატსა და საუკეთესო რეკლამაზე.

კონკურსში დაიშვებიან მხოლოდ
კარგი ნამუშევრები და კარგი გამგონეები, ხატვის ნიჭიც სასურველია!

კონკურსი

ნიანგში

ნიანგ ჟილ, ნიანგ ჟივ, ნიანგ ბუდეტ ჟიტ!!!

მთავარი რედაქტორი
გეჟან სიხარულიძე

სარედაქციო კოლეგია:

მურთაზ აბაშიძე
თამაზ დალაქიშვილი
საბა კიკნაძე
ჯემალ ლოლუა (მხატვარ / რედაქტორი)
ნოდარ მალაზონია
თენგიზ მირზაშვილი (ჩუბჩიკა)
გია სიხარულიძე
ლერი ჩანტლაძე (ლიტ.რედაქტორი)
ჯანსულ ჩარკვიანი
კოტე ყუბანეიშვილი
თამაზ წივწივაძე
რეზო ჭეიშვილი

ნახატი-კარიკატურების თემების ავტორები:

მ. აბაშიძე, ჯ. ლოლუა,
მ. მოისწრაფიშვილი, ჟ. სიხარულიძე,
ლ. ფარეიშვილი

*კოტესტროფეგის ალნიშვნა:
ე.ი. ავტორი კოტე ყუბანეიშვილია

დიზაინერები:
დავით თეთრაძე, ბექა ცინდელიანი &
კაკადუ იგივე „დათო მაჭავარიანი“

მენეჯმენტი და მარკეტინგი:
კომპანია **Promo Ltd.**

კომერციული დირექტორი:
საბა კიკნაძე
ქეთევან ბაბუნაშვილი

„ნიანგის“ უფლებებს ხუმროებაზე
იცავს იურიდიული ფირმა:
„კორძაძე და სვანიძე ადვოკატები“

გამოქვეყნებულ მასალებში საავტორო
სტილი დაცულია.

თბილისი, 380008,
რუსთაველის გამზირი 42.
ტელ: 931942, 934932, 995554

ვისაც ჰგონია, რომ "ნიანგში" რეკლამა არ თავსდება - მწარედ ცდება!

მიმართეთ: ინგა ბანცაძეს და ნანა ჯაჯანაშვილს

- 940330, 934932

ჟურნალი გამოდის 1923 წლის 3 ივნისიდან.
რეგისტრირებულია: ქ.თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ;
რეგისტრაციის № 4/4 - 1263

ფასი შეთანხმებით

ნიანგი

(№ 1902)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მოგვთა თაყვანისცემა" - 2000

ინდექსი: 76137

„ნიანგის", როგორც საქართველოს ყველა მოქალაქის უფლება ხუმრობაზე - დაცულია კანონმდებლობით (იხ. $ 217 მუხლი 217, 1917 წ)